ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 75

“20” თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთისთვის ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ერთ ჩიხს და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ჟვანიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:481261 Y:4626123
X:481265 Y:4626018
X:481296 Y:4626017
X:481300 Y:4625953
I ხიბი
ვიეი ჟვანიას ქ.
X:481239 Y:4625833
X:481238 Y:4625746
X:481291 Y:4625743
X:481301 Y:4625645
X:481281 Y:4625624
N
1:3,000